25.05.2023 წ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონი თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს ,,სტანდარტი"-ს (ს/კ 416358266) საქმიანობის სფეროს განეკუთვნება მეორადი ზეთების გადამუშავება, რა მიზნითაც კომპანია გეგმავს სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტისა და ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა-ექსპლუატაციას ქ. რუსთავში, ჯავახიშვილის ქ. N9-ში, იჯარის ხელშეკრულებით აღებულ არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების ტერიტორიაზე. საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს დაგეგმილი საქმიანობის, ქვეყანაში მოქმედ გარემოსდაცვით ნორმებთან/სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული გარემოებისა და საკანონმდებლო მოთხოვნათა საფუძველზე, შემუშავდა ნარჩენების აღდგენის (ნარჩენი ზეთების გადამუშავების) საწარმოო ობიექტისა და სახიფათო ნარჩენების (ნარჩენი ზეთების) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. შპს ,,სტანდარტი"-ს ნარჩენების აღდგენის (ნარჩენი ზეთების გადამუშავების) საწარმოო ობიექტისა და სახიფათო ნარჩენების (ნარჩენი ზეთების) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშის ელ.ვერსია (PDF)
2. SHP ფაილები

პატივისცემით,

შპს ,,სტანდარტი"-ს დირექტორი: /ბაბუკი ნოზაძე/

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„25" 05 2023
№ 4713